პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 11 (5041)

1974 წ. 16 იანვარი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культу[ е и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





## ჩემპიონატის ფინიში



გუშინწინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ დაიხურა სსრ კავშირის ქალთა XXXIII ჩემპიონატი.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჩიკვაიძემ.

ჩემპიონატის შედეგებსა და პერსპექტივებზე ილაპარაკა შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ტ. კრიუკოვამ (კიევი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ფ. მახარაძემ მედლები და დიპლომები გადასცა პირველ სამ ადგილზე გასულ მოჭადრაკეებს: ნ. გაფრინდაშვილს გადაეცა ოქროს მედალი, მ. შულს — ვერცხლისა, ნ. მედიანიკოვას — ბრინჯაოსი. სპეციალური მედლით დაჯილდოვდა სსრ კავშირის ჩემპიონის მწვრთნელი, დიდოსტატი ა. გიპსლისი (რიგა).

მერე მოჭადრაკეებს გადაეცათ რესპუბლიკური გაზეთებისა და ორგანიზაციების მიერ დაწესებული სხვადასხვა ჯილდო. მაგალითად, ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) მიიღო ჯილდო პირველ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისთვის, შულმა — ყველაზე მეტი (12) მოგებისთვის, ლ. ლიუბარსკაიამ (დონის როსტოვი)—ყველაზე მეტი (15) ყაიმისთვის, მ. ჩიბურდანიძემ და ტ. მოროზოვამ (ლვოვი)—ოსტატთა წინააღმდეგ საუკეთესო შედეგებისთვის (ოთხ-ოთხი ქულა 5-დან) და ა. შ.

გაზეთ „ლელოს“ ჯილდო — ბოლო 5 ტურში საუკეთესო შედეგისთვის — მიიღეს ნ. გაფრინდაშვილმა და ვ. სტერნინამ, რომლებმაც 4-4 ქულა მოაგროვეს.

• • •

**სურათზე:** „ლელოს“ ჯილდოს მფლობელნი — გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და სტერნინა.

მ. ზარგარიანის ფოტო.

### ეტიუდი

ვ. კალანდაძე (თბილისი)

ეძღვნება მსოფლიოსა და სსრ კავშირის ჩემპიონს ნ. გაფრინდაშვილს



თეთრები ყაიმს აღწევენ.

## ცნობები თეთრი ბილიკებიდან



დაიწყო სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის პირველი და მეორე ეტაპების შეჯიბრებები — ფიზკულტურის კოლექტივების, რაიონული, საქალაქო და საოლქო ტურნირები. ეს ღონისძიებანი ხელს შეუწყობს მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიგების ზრდას, დაასახელებს მესამე ეტაპის — რესპუბლიკური სპარტაკიადების მონაწილეებს.

„მფრინავი მოთხილამურეების“ შეჯიბრება საშუალო ტრამპლინზე გორკის საოლქო სპარტაკიადის პროგრამით ამ ქალაქის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ს. სუსლიკოვმა მოიგო. სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატი ე. კლეპაცკი დაეცა და საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა. სამაგიეროდ, დიდი ტრამპლინიდან ხტომაში კლეპაცკიმ 235 ქულით იმარჯვა (ნახტომები — 99,5 და 94,5 მ). სუსლიკოვი II ადგილზე გავიდა — 206 ქულა (83 და 96 მ). საოლქო სპარტაკიადის ეს ორივე ჩემპიონი მწვრთნელ ქ. გოლუბევის აღზრდილია.

მიმდინარეობს, აგრეთვე, ირკუტსკის, ლენინგრადის, არხანგელსკის, მაგნიტოგორსკისა და რსფსრ-ს სხვა ოლქების სპარტაკიადები. ვარაუდობენ, რომ ლენინგრადის ოლქის სპარტაკიადის ყველა შეჯიბრებაში 600 ათასზე მეტი ფიზკულტურელი მიიღებს მონაწილეობას.

კოსტრომის ორ უმაღლეს სასწავლებელში 5000 სტუდენტია. სპარტაკიადის სტარტზე მათგან ყოველი მეხუთე გამოვიდა და მშდ კომპლექსის ნორმატივებიც თითქმის ყველამ ჩააბარა.

ზამთრის საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების ნიშნით ჩატარდა ლენინგრადში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა რბოლებსა და ტრამპლინიდან ხტომაში, სლავსკოეში — სამთომოთხილამურეთა ასპარეზობა, რომელიც ამავე დროს საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი იყო.

კოვგოლოვოს გორაკებზე მოეწყო შეიარაღებულ ძალთა ჩემპიონატი. ნაკრების მწვრთნელი ა. აკენტიევის მოსაზრებით, ამ შეჯიბრებაში ზოგიერთი უძლიერესი არმიელი არ მონაწილეობდა, მაგრამ ბრძოლა მაინც საინტერესო გამოდგა. ხაბაროვსკელმა პირველთანრიგოსანმა ა. ვორონინმა 30 კილომეტრზე რბოლაში ოლიმპიელ ვ. ვორონკოვთან (1:27.16) მხოლოდ 19 წამი წააგო და სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

მაგრამ ეს არ იყო ვორონინის ერთადერთი წარმატება. 15 კილომეტრზე რბოლაში მან ჩემპიონობაც მოიპოვა (42.34) და სპორტის ოსტატის ნორმატივსაც ბევრად გადააჭარბა.

ახალგაზრდა რიგელმა ბიატლონისტმა ვ. ბოგდანოვმა ორმაგი გამარჯვება იზეიმა: ჯერ 20 კილომეტრზე რბოლაში (ოთხ პოზიციაზე სროლით) სპორტის დამსახურებულ ოსტატ ნ. პუზანოვს აჯობა (1:15.55), მერე კი სპრინტერული (10 კილომეტრზე) რბოლაც მოიგო — 38.19.

ქალთა შორის 5 კილომეტრზე ასპარეზობაში ყველას აჯობა ლენინგრადელმა თ. მარტინენკომ — 17.37, 10 კილომეტრზე — ცნობილმა სპორტსმენმა გ. პილიუშჩენკომ (მოსკოვის ოლქი) — 35.41.

„მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრება ახალი ფორმულით ჩატარდა — გამარჯვებული ორდღიანი ასპარეზობის ჯამით ვლინდებოდა. ყველას აჯობა ქვეყნის ნაკრების კანდიდატმა ს. იანინმა (ურალის სამხედრო ოლქი), რომელმაც ორივე ტური მოიგო და 488,6 ქულა მოაგროვა.

სლავსკოეში, ტროსტიანის მთის ფერდობებზე, ჩატარდა სამთომოთხილამურეთა პირველი წლევანდელი შეჯიბრება. ეს იყო საკავშირო თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. სარბიელზე სსრ კავშირის ყველა უძლიერესი სპორტსმენი არ გამოსულა (თასის გათამაშების ფორმულით, ყველა ეტაპზე ასპარეზობა სავალდებულო არ არის).

სწრაფდაშვების 1820-მეტრიან გაყინულ ტრასაზე, სადაც სიმაღლეთა სხვაობა 510 მეტრი იყო, კიეველმა ს. ლებედევამ იმარჯვა — 1.17,23. ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე ყველას აჯობა ახალგაზრდა ბრიანსკელმა ა. კორდიუშინმა — 1.14.57. კიეველმა ა. ლებედევმა და ლვოველმა ბ. ტუზოვმა ერთნაირი შედეგები (1.15,53) აჩვენეს.

გიგანტურ სლალომში გამარჯვებული ორი ცდის ჯამით ვლინდებოდა. აქაც ყველას ს. ლებედევამ აჯობა. ვაჟთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა კიეველი ვ. ბრიუხანოვი.

სამთომოთხილამურეთა საკავშირო თასის გათამაშების მორიგი ეტაპი — ასპარეზობა „ლელოს“ პრიზზე 24—28 იანვარს გაიმართება ბაკურიანში.

### რაიონებში [illegible]

→ ონი

ჩატარდა სარაიონო პირადი პირველობა თხილამურებით რბოლაში. ქალთა შორის როგორც 3, ისე 5 კმ-ზე გაიმარჯვა გლოლელმა თ. ბაკურაძემ. ვაჟთა შორის 5 და 10 კილომეტრზე შეჯიბრება მოიგო მისმა თანასოფლელმა ვ. ბალაშვილმა.

• • •

დაიწყო მოსწავლეთა XIII სარაიონო სპარტაკიადა. დამთავრდა შეჯიბრებები კალათბურთსა და ფრენბურთში. ონის მე-2 საშუალო სკოლის გოგონებმა იმარჯვეს კალათბურთსა და ფრენბურთში. კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრება ონის 1-ელი სკოლის სპორტსმენებმა მოიგეს. სპარტაკიადა მაისამდე გაგრძელდება.

ბ. მაისურაძე.

## რინგის კვადრატზე

ამას წინათ „ბურევესტნიკის“ სპორტდარბაზში გაიმართა თბილისის პირად-გუნდური პირველობა კრივში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“ „შრომითი რეზერვების“, „განთიადის“, „ბურევესტნიკისა“ და განათლების განყოფილებასთან არსებული მოზარდთა სპორტსკოლის 1954-56 წლებში დაბადებული მოსწავლეები.

წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: გ. ხალოიანმა (განათლების განყოფილება), დ. ქირიამ („განთიადი“), ტ. ქართველიშვილმა („ბურევესტნიკი“), ს. პეტროსიანმა („განთიადი“), ა. პერტიამ, თ. სავინიხმა (ორივე—„ბურევესტნიკი“), ა. ჯავახიშვილმა („სპარტაკი“), ვ. ერმოლაევმა (განათლების განყოფილება), ვ. ჯანელიძემ, გ. შანიძემ, ტ. კაკვიძემ (სამივე — „ბურევესტნიკი“).

საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა „ბურევესტნიკის“ გუნდმა.

ი. ხანუკაშვილი.

## როგორაა რეზერვის საქმე?

როგორც ცნობილია, უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის პარალელურად ტარდება ეგრეთ წოდებული დუბლიორთა ტურნირი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ფართო გასაქანი და ასპარეზი მისცეს დიდი კალათბურთის რეზერვს. ამიტომ ამ თავისებურ მინი-ჩემპიონატს მთელი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მწვრთნელები, სპეციალისტები, კალათბურთის ფედერაცია.

დუბლიორთა მატჩები რეგლამენტის მიხედვით წინ უნდა უსწრებდეს ძირითად შემადგენლობათა შეხვედრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ამა თუ იმ მიზეზით ეს მატჩები არ ტარდება — ფედერაციას შემდგომისთვის გადააქვს. ეს კი ჩვენ საშუალებას არ გვაძლევს ვიქონიოთ ზუსტი წარმოდგენა სატურნირო მდგომარეობაზე.

იანვარი დასვენების თვეა ჩვენი საკლუბო კალათბურთისთვის. ისვენებენ დუბლიორებიც. ამიტომაც შევეცადეთ ერთგვარად მაინც აღგვედგინა სატურნირო ცხრილი.

ბოლო მატჩებში თავი უმთავრესად ორმა გუნდმა გამოიჩინა — ლენინგრადის „სპარტაკმა“ და კაუნასის „ჟალგირისმა“. მათ ზედიზედ სამ-სამი შეხვედრა მოიგეს და, ცხადია, ლიდერობაც ხელთ იგდეს.

სპარტაკელთა წარმატება ერთობ სიმპტომურია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კალათბურთის ლიდერს ღირსეული ცვლა ჰყავს და ყოველ წუთს შეუძლია ბრძოლაში ჩააბას დასვენებული ძალები „გრძელი სკამი“ ლენინგრადელთა წინაშე ნათელ პერსპექტივებს შლის.

„ჟალგირისის“ ძირითადი შემადგენლობა წლეულს, გარკვეული მიზეზებით, სუსტად თამაშობს. სამაგიეროდ, გუნდს, როგორც ჩანს, საიმედო რეზერვი გააჩნია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თაობათა ცვლის მტკივნეულ პროცესს ლიტველები იოლად დაძლევენ.

გამოიკეთა მდგომარეობა მინსკის რტი-მაც. მან ორი შეხვედრა მოიგო და ერთგვარად დასცილდა აუტსაიდერებს.

კიევის „სტროიტელი“ ძირითად ტურნირში კარგა ხანია ერთი და იგივე შემადგენლობით თამაშობს. ეს, რა თქმა უნდა, კარგი ცხოვრებით არ არის გამოწვეული. „სტროიტელის“ ძირითად ხუთეულს არ ჰყავს სრულფასოვანი ცვლა, რაც გარკვეულ დაღს ასვამს მის თამაშს. ამიტომ, ცხადია, სუსტად გამოდის ამ კოლექტივის რეზერვიც. დუბლიორთა ტურნირში „სტროიტელი“ ერთადერთი გუნდია, რომელმაც ჯერჯერობით არ იცის, რა არის გამარჯვება. კიეველმა კალათბურთელებმა უკვე 9 თამაში წააგეს. ანალოგიური მდგომარეობაა უკრაინის მეორე გუნდშიც — ასკ-ში. არმიელებმა მხოლოდ ერთი შეხვედრა მოიგეს და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე არიან.

გთავაზობთ დუბლიორთა ბოლო მატჩების შედეგებს: „სპარტაკი“ — ასკ (რიგა) 82:67, „სპარტაკი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 70:62, „სპარტაკი“ — ცსკა 80:60, „ჟალგირისი“ — ასკ (კიევი) 90:66, „ჟალგირისი“ — „სტროიტელი“ 84:57, „ჟალგირისი“ — ასკ (რიგა) 60:58, რტი — ასკ (კიევი) 88:70, რტი — „სტროიტელი“ 69:68, „კალევი“ — ასკ (რიგა) 83:78, „დინამო“ (მოსკოვი) — „კალევი“ 89:78, ასკ (კიევი) — „სტროიტელი“ 77:58.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ | 8 | 7 | 1 | 665—527 | 7 |
| „ჟალგირისი“ | 8 | 6 | 2 | 578—506 | 6 |
| „დინამო“ (მ.) | 9 | 6 | 3 | 688—607 | 6 |
| „კალევი“ | 8 | 5 | 3 | 606—585 | 5 |
| ცსკა | 7 | 5 | 2 | 461—463 | 5 |
| ასკ (რიგა) | 8 | 3 | 5 | 592—569 | 3 |
| რტი | 6 | 3 | 3 | 424—420 | 3 |
| „დინამო“ (თბ.) | 7 | 3 | 4 | 499—510 | 3 |
| ასკ (კიევი) | 8 | 1 | 7 | 554—695 | 1 |
| „სტროიტელი“ | 9 | 0 | 9 | 559—744 | 0 |

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არ არის მეორე წრის რამდენიმე გამოტოვებული მატჩის შედეგი.

# შეჯიბრებაში ვიწვევთ ბათუმელ სახლმშენებლებს!

ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატის კოლექტივმა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების 1973 წლის გეგმა-ვალდებულება დროულად შეასრულა. კომბინატის მუშაკებმა ვიცით, რომ მოპოვებულ წარმატებებს შემდგომი განმტკიცება სჭირდება და ამ მიზნით ღონისძიებაც დავსახეთ.

ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივი 1974 წლისთვის იღებს შემდეგ ვალდებულებას:

გეგმის ზევით მოვამზადებთ ერთ სსრ კავშირის სპორტის ოსტატს, 10 პირველთანრიგოსანს, 20 მეორეთანრიგოსანს, 50 მესამეთანრიგოსანს, 15 ჭაბუკთა თანრიგის სპორტსმენს, 30 მშდ კომპლექსის ნიშნოსანს, 50 საზოგადოებრივ ფიზკულტურულ მუშაკს;

საზოგადოება „განთიადის" წევრთა რაოდენობას გავზრდით 300 კაცით, ფიზკულტურელთა რაოდენობას — 300 კაცით, მოვაწყობთ ფეხბურთის მინდორს სახტომი და სატყორცნი სექტორებით, კომბინატის ტერიტორიაზე მოვაწყობთ ხელბურთისა და ფრენბურთის თითო მოედანს, შევაკეთებთ არსებულ კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნებს.

ვიღებთ რა ამ ვალდებულებას, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ბათუმის სახლმშენებელი კომბინატის ფიზკულტურის კოლექტივს.

აღებული ვალდებულების შესრულების შემოწმებას ვთხოვთ „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს.

**რ. ბეჟაშვილი,**
ქუთაისის სახლმშენებელი კომბინატის მმართველი;

**ჯ. კვერნაძე,**
პარტბიუროს მდივანი;

**მ. ტურაბელიძე,**
პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის მდივანი;

**დ. ჭეიშვილი,**
კომკავშირის კომიტეტის მდივანი;

**რ. ჩხენკელი,**
ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი;

**ა. მაღლაკელიძე,**
ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე;

**ა. გოგიბერიძვილი,**
**რ. კუჭავა,**
სპორტის ოსტატები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში;

**ლ. დვალიშვილი,**
ქალაქის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრი.

## პირველი ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის 1974 წლის პირველი ტირაჟისა, რომელიც 10 იანვარს მოეწყო მოსკოვში.

**„სპორტლოტო":** ექვსი ნომერი ამოიცნო ორმა კაცმა და თითოეული 5000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 1313 მანეთია (იღბლიანი აღმოჩნდა 220 ბილეთი), ოთხისთვის — 35 (8859), სამისთვის—3 (142087).

**„სპორტლოტო-2":** ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3189 მანეთია (28 ბილეთი), ოთხისთვის—75 (1346), სამისთვის — 3 (35569).

მოგებული თანხა გაიცემა ცენტრალურ შემნახველ სალაროებში 21 იანვრიდან 20 თებერვლის ჩათვლით.



## „მშვიდობა ყველას სჭირდება"

მშვიდობისმოყვარე ქალთა საერთაშორისო კონგრესის დაწყებამდე მოსკოვში, უცხოეთის ქვეყნების ხალხთან მეგობრობის სახლში, გაიხსნა კონგრესისადმი მიძღვნილი გამოფენა — „მშვიდობა ყველას სჭირდება".

ამ ფოტოგამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხუთი კონტინენტის 40 ქვეყნის ფოტოჟურნალისტთა 600-მდე ნამუშევარი.

ჟიურის გადაწყვეტილებით, ფოტოგამოფენის ბევრმა მონაწილემ სამახსოვრო სიგელები და დიპლომები მიიღო (მედლებით არავის აჯილდოებდნენ). ამ გამოფენაზე საქინფორმის თბილისელი ფოტოკორესპონდენტი ა. საკოვი სიგელით დაჯილდოვდა ორი ნამუშევრისთვის — „არ მოგცემ!" და „გადამწყვეტი სვლა".

* * *

სურათზე: ფოტოეტიუდი „არ მოგცემ!"

ჩვენი დღევანდელი გაზეთის მე-4 გვერდზე ვბეჭდავთ ა. საკოვის კიდევ ორ ნამუშევარს.

# ასე ფიქრობს ვიქტორ კორჩნოი

პრეტენდენტთა ოთხი მატჩიდან ყველაზე მიმზიდველი და საინტერესო ამერიკის შეერთებულ შტატებში დანიშნული შეხვედრა უნდა იყოს. იქ ითამაშებს საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული ორი მოჭადრაკე. ვ. კორჩნოიმ ლენინგრადში, მართალია, პირველი ადგილი ა. კარპოვთან გაიყო, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილითაც და გამარჯვებათა რიცხვითაც უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა. ე. მეკინგი კი პრეტენდენტთა ციკლის ოთხი დებიუტანტიდან ყველაზე რთული და იდუმალებით მოსილი ფიგურაა. მოჭადრაკისგან, რომელიც შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე ოსტატდება, ყველაფერს უნდა ელოდე. 21 წლის ჭაბუკმა, რომელსაც შარშანდელი წლის ივლისამდე მნიშვნელოვანი წარმატება არ მოუპოვებია, ბრწყინვალედ მოიგო საერთაშორისო ტურნირი პეტროპოლისში — არც ერთი პარტია არ წაუგია.

მატჩების დაწყების წინ პრესაში დაიბეჭდა ბევრი ცნობილი სპეციალისტის მოსაზრებანი მომავალ შეჯიბრებებზე, მაგრამ თავად პრეტენდენტები სდუმდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მიგვაჩნია ვ. კორჩნოის ინტერვიუ ამერიკაში გაფრენის წინ — საუბარი ჩვენი გაზეთის ლენინგრადელ კორესპონდენტ ბ. მარიამიძესთან.

**● როგორ უყურებთ იმ ამბავს, რომ მატჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში — მსოფლიო ჩემპიონის სამშობლოში ტარდება?**

— მე პირველად მივემგზავრები ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამიტომ ვცდილობდი ზოგიერთი რამ გამეგო ჩვენი მომავალი შეხვედრის ქალაქზე. აუგუსტა მდებარეობს ჯორჯიისა და სამხრეთ კაროლინის შტატების საზღვარზე, ჯორჯიის შტატის ტერიტორიაზე. ქალაქი მდინარე სავანის მარჯვენა ნაპირზეა გაშლილი. სავანა ატლანტის ოკეანეს ერთვის. წელიწადის ამ დროს აუგუსტაში საკმაოდ ზომიერი ტემპერატურაა, ასე რომ, კლიმატური პირობები თამაშისთვის სავსებით შესაფერი იქნება. რაც შეეხება აკლიმატიზაციას, ეს საკითხი არ მაწუხებს. მე, ჩვეულებრივ, ნელა ვეჩვევი დროში სხვაობას (ამჯერად — 7 საათი), მაგრამ მატჩამდე ერთი კვირაა და ეს ალბათ საკმარისი იქნება შესაგუებლად. მე მითამაშია კუბაში, არგენტინაში, კიურასაოზე და უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველ ახალ ქვეყანას ჩემთვის სინანულზე მეტი სიხარული მოჰქონდა.

**● მატჩისთვის მზადების დროს მეკინგის პარტიების შესწავლა მოგიხდათ. რა აზრისა ხართ თქვენს მეტოქეზე, როგორც მოჭადრაკეზე?**

— მე გულდასმით გავაანალიზე მეკინგის ნათამაშევი ძველი პარტიები და დავასკვენი, რომ იგი საგრძნობლად წინ წასულა. ყველაზე პარადოქსული ის არის, რომ უამრავ მიმომხილველს ეს ფაქტი რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა.

**● რითაა ეს გამოწვეული?**

— ჩემი აზრით, მათთვის სასიამოვნო არ უნდა იყოს მეკინგის წმინდა ადამიანური თვისებები, მისი ქცევა ჭადრაკის დაფასთან და ყოველდღიურ ცხოვრებაში, მისი ქედმაღლური, არაეთიკური გამონათქვამები, რომელთაც თვითრეკლამის იერი დაჰკრავთ.

მეკინგის ძალა პირველ ყოვლისა ტაქტიკაშია, მაგრამ მას ამავე დროს უყვარს დაბოლოებაში ოდნავ შესამჩნევი უპირატესობით გადასვლა, რაც განსაკუთრებით პეტროპოლისში გამოჩნდა. ამ ბოლო ხანს ჩემი მომავალი მეტოქე ცდილობდა თავისი სადებიუტო რეპერტუარის გამრავალფეროვნებას. თუმცა ესეც კია, რომ სხვადასხვა საჭადრაკო დასაწყისის დიდი არჩევანი თამაშში მრავალმხრივობაზე მეტად მოჭადრაკის გარკვეულ განზრახვაზე მეტყველებს. ამ მიზნის განხორციელება არც ისე მარტივია. მოჭადრაკე ნებსით თუ უნებლიეთ უბრუნდება იმ სქემებს, რომელთა გამოყენების დროსაც თავს უფრო მშვიდად, დაჯერებულად გრძნობს.

**● ერთ-ერთ ინტერვიუში მეკინგი ამბობდა, რომ ეცდებოდა შეესწავლა პეტროსიანთან მატჩში თქვენს მიერ ნათამაშევი პარტიები და თავს შემოეხვია თქვენთვის ლავირების ტაქტიკა. რას იტყვით ამაზე?**

— მეკინგის სტილი უაღრესად აქტიური და შეუპოვარია. ამიტომ არა მგონია, რომ მან, როგორც კონკრეტულმა მოჭადრაკემ, ლავირება შეძლოს, ეგ კი არა, ასეთ თამაშში შეიძლება მე მეტი შანსები გამიჩნდეს, თუმცა ეს ჩემთვის იოლი ამოცანა არ იქნება. პეტროსიანისებურად თამაში მხოლოდ პეტროსიანს შეუძლია.

**● ნება მიბოძეთ, ერთი შეკითხვა მოგცეთ: რას იტყვით მატჩის შედეგზე?**

— უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ჯერჯერობით ოთხი პარტია ვითამაშეთ და ანგარიში თანაბარია: თითო გამარჯვება და ორ-ორი ყაიმი. მეკინგი ჯიუტია, შეუპოვრად მიიწევს მიზნისკენ. ამაში იგი ნამდვილი სპორტსმენია. ჯანსაღი სპორტული შუღლით მეკინგი არ ჩამოუვარდება მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეებს, მაგალითად, რობერტ ფიშერს, მიხეილ ბოტვინიკს, მიხეილ ტალს. ამ მატჩში ჩემი შანსები უფრო საიმედოდ მიმაჩნია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბრძოლა მძიმე იქნება. საქმე ისაა, რომ გამარჯვებისთვის მე სამი პარტია უნდა მოვუგო მეტოქეს, პეტროპოლისში კი მეკინგს ვერავინ აჯობა. საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია „სამ გამარჯვებამდე" თამაშის სამატჩო ტაქტიკა.

**● სხვათა შორის, მიხეილ ტალი წერდა, რომ სისტემის რეფორმის შემდეგ თამაშის ტაქტიკა მისთვის განსაკუთრებით გაუგებარია, მით უმეტეს მაშინ, როცა ანგარიშია 2:0 მეტოქის სასარგებლოდ.**

— კი მაგრამ, როგორ უნდა ითამაშო, როცა ანგარიშია, ვთქვათ, 2:2, მეტი ან ნაკლები? თუ შეიძლება ითქვას, ახალი სისტემა რობერტ ფიშერის პატენტია. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წინა ციკლში მოპოვებულმა წარმატებებმა და ივარაუდა, რომ ურთიერთობათა გარკვევის დროს მშვიდობისმოყვარეობა არ არის სათვალავში ჩასაგდები. მისი წინადადებით მეოთხედფინალში დაადგინეს გამსვლელი ცენზი — სამი გამარჯვება.

ასეთ მატჩებში მთავარია მოიგო დასაწყისში და პარტნიორს უპირატესობა არ მისცე. როცა ანგარიშია 2:2, იწყება უკიდურესი ნერვული დაძაბულობა და გადამწყვეტი პარტიის შედეგი შემთხვევითი იქნება, როგორც „სპორტლოტოში".

**● რაკი თქვენს მატჩზე რაღაც პროგნოზი მაინც გამოთქვით, იქნებ მოკლედ შეეხოთ დანარჩენ მეოთხედფინალურ შეხვედრებს?**

— ჩემი აზრით, ბორის სპასკიმ უნდა დაამარცხოს რობერტ ბირნი. ამ ფიქრის საფუძველს პირველ ყოვლისა ის მაძლევს, რომ სპასკი ძალიან სერიოზულად ემზადებოდა მატჩისთვის. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეუბნებოდა. კარგ სტარტს ხელს შეუწყობს კონტაქტის განახლება დიდოსტატ ბონდარევსკისთან. მასთან მუშაობის პერიოდში სპასკის არც ერთხელ არ წაუგია.

საბჭოთა პრეტენდენტებიდან ბევრს კარპოვი მიაჩნდა ყველაზე პერსპექტიულად. მართლაც, იგი ახალგაზრდაა, სწრაფად ოსტატდება. ასე რომ, თუ პოლუგაევსკიმ გაიმარჯვა, პრეტენდენტთა რიცხვს გამოაკლდება მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კანდიდატი. დღესდღეობით კარპოვს ჯერ კიდევ არა აქვს სამატჩო ბრძოლის დიდი გამოცდილება (თუმცა ამ სამი წლის წინათ ამ მხრივ ვერც ფიშერი დაიტრაბახებდა). მთავარი სიძნელე ისაა, რომ პოლუგაევსკის 39 წლის ასაკში თავის სიცოცხლეში პირველად უხდება ესოდენ მნიშვნელოვანი მატჩის თამაში.

ტიგრან პეტროსიანს ჯერჯერობით უარყოფითი ბალანსი აქვს პორტიშთან. მას ჯერ არც ერთი პარტია არ მოუგია „უნგრელი ბოტვინიკისთვის", წაგებით კი ოთხი წააგო. აქამდე პეტროსიანი ვერ უმკლავდებოდა პორტიშის მკაცრ პოზიციურ მანერას. ერთხანს მე ვვარაუდობდი, რომ ამ მატჩში უპირატესობა უნგრელი დიდოსტატის მხარეს იქნებოდა, მაგრამ მადრიდის ტურნირში მისი წარუმატებლობის შემდეგ ვფიქრობ, რომ პეტროსიანს შეუძლია მას სამი პარტია მოუგოს.

**● ესე იგი, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ნახევარფინალური შეჯიბრებები საბჭოთა დიდოსტატთა „შინაურ საქმედ" იქცევა.**

— პირადად მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ახლა საჭიროა მხოლოდ პორტიშის, მეკინგისა და ბირნის თანხმობა.

## სან ხუანი-74

● **სან-ხუანი, 15 იანვარი.** მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური მატჩის პირველ პარტიაში მსოფლიო ექსჩემპიონი ბ. სპასკი (სსრ კავშირი) და რ. ბირნი (აშშ) 44-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. მეორე პარტიაში თეთრებით ითამაშებს საბჭოთა დიდოსტატი.

ივერიელი

# ვლადიმერ ბარკაია: „ფეხბურთი კოლექტიური თამაშია“

ტაშკენტში გადამწყვეტი მატჩის წინ მტკიცედ გვწამდა, რომ უეჭველად გავიმარჯვებდით. პირველ წუთებში მაინც დიდ დაძაბულობას ვგრძნობდით. კარგად გვქონდა შესწავლილი თავი და არასგზით არ გვინდოდა პირველი გოლი ჩვენს კარში გასულიყო. და მაინც, „ტორპედომ“, რომელიც დასაწყისში ჩვენზე უკეთ თამაშობდა, მოახერხა გოლის გატანა. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ამ ბურთმა თითქოს ხელ-ფეხი გაგვიხსნა: დასაკარგი აღარაფერი გვქონდა და ჩვენ თავისუფლად დავიწყეთ თამაში. უკვე მერე, მატჩის შემდეგ, კაჩალინმა გვითხრა: მე მინდოდა პირველი ბურთი გაეტანა... „ტორპედოს“. მაშინ შებორკილი აღარ იქნებოდითო. ეს ადვილია სათქმელად...

როცა ტაშკენტის სტადიონზე საპატიო წრე შემოვიარეთ, ძალაუნებურად გამახსენდა ცნობილი ინგლისელი მოგზაურის ფრენსის ჩიჩესტერის სიტყვები: „მთავარია არა შედეგი, არამედ ამ შედეგის მისაღწევად გაწეული შრომა“. ვფიქრობდი: აი, ჩვენ ჩემპიონები ვართ. ეს ვერც ერთმა თაობამ ვერ შეძლო, ისე კი რა ადვილი ყოფილა-მეთქი. ნუ გამამტყუნებთ ამისთვის. ალბათ, მუდამ ასე ფიქრობს ადამიანი, როცა ყველაზე სანუკვარ ოცნებას აისრულებს. ამ გამარჯვების შემდეგ, სხვათა შორის, ჩემთვის უფრო ცხადი და გასაგები გახდა პირველაღმომჩენთა ანდა მწვერვალების დამპყრობთა უსაზღვრო ალტაცება. ჩვენც ხომ მაშინ მწვერვალზე ვიდექით!..

არ ვიცი, როგორ ფიქრობენ სხვები, მაგრამ 1965 წლის „დინამო“ ოდნავადაც არ ჩამოუვარდებოდა თავის ჩემპიონ წინამორბედს. პირიქით, საფეხბურთო ერუდიციით ბევრ რამეში სჯობდა კიდეც მას. მაგრამ საერთო ტონუსმა იკლო, გუნდი როგორღაც მოეშვა. გულში ალბათ ყოველი ჩვენგანი ფიქრობდა, რომ საბოლოო მიზანს, სანუკვარ ოცნებას უკვე წინა წელს შევასხით ფრთები. ამ აზრს გამუდმებით ვიშორებდით თავიდან, მაგრამ ფსიქოლოგიური ზღუდის გადალახვა, ეტყობა, ვერ მოვახერხეთ. ისე კი ვიმეორებ, 1965 წლის „დინამო“ ნამდვილად ღირსი იყო ჩემპიონობისა, თუმცა, საბოლოო შედეგმა სულ სხვა სურათი დაგვიხატა...

საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში მოხვედრა ყოველი ფეხბურთელის ცხოვრებაში უდიდესი მოვლენაა. დიდი იყო ჩემი სიხარულიც, როცა ნაკრების ხელმძღვანელობამ 1965 წელს გუნდში მიმიწვია. სხვათა შორის, ნაკრებში ორი მატჩი ვითამაშე — დანიასთან და ბრაზილიასთან. დებიუტი უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე მომდევნო თამაში ფეხბურთის ჯადოქრებთან. დანიელებთან თამაშის დროს პირველ ტაიმში თითქმის ისევე შებორკილი ვიყავი, როგორც ჩემი საფეხბურთო კარიერის დასაწყისში. თუმცა, დანიელები არ იყვნენ სერიოზული მეტოქეები. იგრძნობოდა, რომ ეს მაინც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გახლდათ და ამიტომ დებიუტანტს დასაწყისში აღელვება მეპატიებოდა. მეორე ტაიმში თავისუფლად დავიწყე თამაში და ორი გოლიც გავიტანე.

ბრაზილიელებთან მატჩის წინ მშვიდად ვგრძნობდი თავს. არ მეგონა, თუ ეს გუნდი მართლა ისე ძლიერი იყო, როგორ რეკლამასაც უწევდნენ. არც პელე მეგონა ესოდენ მძლავრი... მე არ გიამბობთ მატჩის პერიპეტიებს, უჩემოდაც კარგად იცით. მთავარი კი ისაა, რომ პელე ნამდვილად იმსახურებს ყველანაირ კომპლიმენტს. ამას ვამბობ უშუალო, ცოცხალი შთაბეჭდილების მიხედვით. რაც უნდა იყოს, ფეხბურთელი მინდორზე უკეთ გრძნობს წმინდა საფეხბურთო ნიუანსებს, ვიდრე ტრიბუნაზე მჯდომი მაყურებელი. დამამახსოვრდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალი: პელე ხანდახან რაღაცას გაჰყვიროდა პარტნიორების გასაგონად. ხორხიდან საყვირის მსგავსი ხმა ამოსდიოდა. ეს ისეთი მძლავრი შეძახილი იყო, ისეთი... ერთი სიტყვით, მაპატიონ ფეხბურთის მოყვარულებმა, მაგრამ ბრაზილიელებთან მატჩზე მეტს არაფერს ვიტყვი. ისე კი, დიდი შთაბეჭდილება დატოვეს ჩემზე გერსონმა და ორლანდომაც...

მე შედარებით ადრე მივატოვე ფეხბურთი: 29 წლისა ვიყავი. შემეძლო მეთამაშა კიდევ, მაგრამ ჰქონდა კი ამას აზრი? ახალს ვერაფერს ვიტყვი, როცა გავიმეორებ ცნობილ, მაგრამ მარად აქტუალურ აზრს: ყველა სპორტსმენმა, ყველა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, როდის წავიდეს სარბიელიდან.

ვგრძნობდი, რომ თამაში კიდევ შემეძლო, მაგრამ წინანდელი ხალისი, წინანდელი ენთუზიაზმი და მონდომება აღარ მქონდა. ამას დაერთო ტრავმები. იქნებ ამიტომაც, ჩემი განშორება უსაყვარლეს თამაშთან შედარებით უმტკივნეულო გამოდგა. არა, იმას ვერ ვიტყვი, რომ იოლად დავთმე საყვარელი და ახლობელი სამყარო, ტრიბუნები, გულშემატკივრები, ნაცნობი და უცნობი სტადიონები, ყველაფერი, რითაც ასე მდიდარია ჩემთვის ყველაზე ძვირფასი თამაში.

დიახ, ფეხბურთთან განშორება იოლი არ ყოფილა, მაგრამ ჩემთვის ეს დრამად არ ქცეულა. მწვრთნელმა სოლოვიოვმა, როცა გადაჭრით ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილება, თავი გაიქნია და მიპასუხა: ერთ მაისურს გაიხდი და მეორეს ჩაიცვამო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ყოფილ ფეხბურთელს, ჩვეულებრივ, მწვრთნელობას სთავაზობენ.

მე ორ წელიწადს ვიყავი მწვრთნელად „დინამოში“. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდი ჩემს უფროს ამხანაგებს ახალგაზრდა ფეხბურთელების მომზადებაში. მერე კი კვლავ დავემშვიდობე გუნდს. სამუდამოდ? ეს არ ვიცი. მწვრთნელი, თუ კი პატივს სცემს სპორტულ საზოგადოებას, გუნდს, მეტისმეტად მომთხოვნი უნდა იყოს საკუთარი თავის მიმართ. მე, როგორც ახალგაზრდა მწვრთნელს, ჩემი აზრით, კიდევ ბევრის სწავლა და გაგება მმართებს. მწვრთნელი დარწმუნებული უნდა იყოს თავის შესაძლებლობებში.

კიდევ ორიოდე სიტყვა ისეთ ტრადიციულ თემაზე, როგორიც ფეხბურთთან განშორებაა. ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს არა ჩემი, ანუ „ნებაყოფლობითი“ განშორების მაგალითი, არამედ იძულებითი წასვლა საფეხბურთო სამყაროდან. ამ მიზეზით ქართულმა ფეხბურთმა ბევრჯერ განიცადა აუნაზღაურებელი დანაკლისი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ გუნდის „გაახალგაზრდავება“ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს თვითმიზანი, თორემ უთუოდ გადაიქცევა ხელოვნურ პროცესად, პრიმიტიულ ქირურგიად, რომელიც მხოლოდ ზიანს მოუტანს სპორტს. უფრო მეტად უნდა გავუფრთხილდეთ გამოცდილ ფეხბურთელებს, იმათ, ვისაც ძალუძს თამაში, ვისაც თავისი ოსტატობით და გამოცდილებით შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს კოლექტივს.

გუნდის ხელოვნური გაახალგაზრდავების „ისტერია“ — სხვანაირად არ შემიძლია ვუწოდო სპორტის მესვეურთა ერთი ნაწილის აჩქარებულ სურვილს, რომ რადაც უნდა დაუჯდეს მაქსიმალურად შეამციროს ამა თუ იმ კოლექტივის მოთამაშეთა საშუალო ასაკი. სპორტი, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა ახალგაზრდობას ეკუთვნის, მაგრამ თაობათა ცვლა უნდა ხდებოდეს ფრთხილად, ფაქიზად, გააზრებულად, საქმის დიდი ცოდნით, სიყვარულით...

წინააღმდეგ შემთხვევაში ნაძალადევად გაახალგაზრდავებულ გუნდებს ისეთივე კრიზისი ელით, როგორიც „დინამომ“ გადაიტანა 1958 წელს. დღემდე მწარედ ვიგონებ 1957 წლის სპორტული სეზონის დასასრულს, როცა ჩვენი გუნდი ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ავსტრიას გაემგზავრა. მახსოვს, რა აგდებულად, დაუფარავი ცინიზმითაც კი ეკიდებოდა დელეგაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვეტერან ფეხბურთელებს, რადგანაც კოლექტივში მათი ყოფნა მიზანშეწონილად არ მიაჩნდა. ამ ფეხბურთელების ერთადერთი „დანაშაული“ გახლდათ მხოლოდ... ასაკი. თანაც ასაკი, როცა სპორტსმენს კვლავ შესწევს ძალა ერთგულად ემსახუროს გუნდს, დიდი სარგებლობა მოუტანოს მისი მომავალი თაობის დაოსტატებას.

უსულგულო დამოკიდებულებამ „ჩამოსაწერ“, ჯერ კიდევ ძლიერ ფეხბურთელებს დაუკარგა საკუთარი ძალისადმი რწმენა, თამაშის ხალისი. 1958 წლის სეზონში არასწორმა „ქირურგიამ“ გუნდს მოჰკვეთა რამდენიმე წამყვანი, საიმედო ვეტერანი ფეხბურთელი. კოლექტივს მათს მაგივრად შეემატნენ ახალგაზრდა წევრები, რომლებსაც აშკარად აკლდათ გამოცდილება. რა დაგვემართა იმ სეზონში, ეს ყველამ იცის: „დინამოს“ მისთვის აშკარად შეუფერებელი ადგილი ხვდა.

სამწუხაროდ, ასეთი საზიანო პრაქტიკა გაკვეთილად არ გამოადგა მომდევნო წლებში გუნდის ზოგიერთ მესვეურს. ეს დიდი შეცდომაა, რომლის გამოსწორებასაც საკმაოდ დიდი ხანი სჭირდება. მთავარი კი ის არის, რომ თაობათა ცვლის ხელოვნური პროცესი ერთობ უარყოფითად მოქმედებს გუნდის წლობით მოპოვებულ ტრადიციებზე და ფსიქოლოგიურ ტრავმას აყენებს ახალგაზრდა ფეხბურთელებს.

ფეხბურთი მშვენიერი თამაშია. იგი ზღვა სიხარულს იძლევა. ეს სანახაობა იკრებს უზარმაზარ აუდიტორიას, რომელიც შედგება სხვადასხვა ტემპერამენტის, ასაკის, სქესის, ინტელექტის ადამიანებისგან. ძნელია მოსთხოვო მათ მატჩისა თუ ცალკეული ფეხბურთელების თამაშის ერთნაირად რეალური, ობიექტური შეფასება. მე ბევრი სტადიონი მინახავს, ბევრი აუდიტორიის წინაშე გამოვსულვარ და შემიძლია პირუთვნელად მოგახსენოთ, რომ თბილისელი მაყურებელი ერთ-ერთი ყველაზე კორექტული, ობიექტური და სამართლიანია. ჩვენს გულშემატკივრებს ისევე მდიდარი ტრადიციები აქვთ, როგორც ქართულ ფეხბურთს. ურთმანეთოდ ისინი ვერ იარსებებენ. რაღა შორს მივდივართ, თავად ჩემზე საოცრად მოქმედებდა მაყურებლებით სავსე ტრიბუნები. ისინი ხასიამოვნოდ აღიზიანებენ ფეხბურთელის პატივმოყვარეობას, „აიძულებენ“ მას უკეთ ითამაშოს, უნერგავენ პასუხისმგებლობის გრძნობას. მაგრამ თბილისელ გულშემატკივართა საკმაოდ მოზრდილ ნაწილს ერთი თვისება განასხვავებს: ერთობ „ჭირვეულია“, ხშირად „ებუტება“ საყვარელ ფეხბურთელებს.

არ ვიცი, გრძნობენ თუ არა მაყურებლები, მაგრამ მოთამაშეებს ეს განწყობილება რაღაც უხილავი ძალით გადაეცემათ. დაღლილ-დაქანცულებს, პრინციპული მატჩების დაძაბულობით გამოფიტულთ რამდენჯერ გვინატრია ტრიბუნების გამამხნევებელი შეძახილები, მაგრამ ამაოდ.

არა, სხვანაირად ნუ გამიგებთ, არავითარი ანტაგონიზმი ჩვენს მაყურებლებსა და ფეხბურთელებს შორის არ არსებობს. უბრალოდ, მათი ურთიერთობა რომელიღაც პუნქტებში დღემდე „მოსაგვარებელია“. მე არ გამკვირვებია, როცა „ტვენტესა“ და „ტოტენჰემის“ წარმომადგენლებმა გაკვირვება ვერ დამალეს ჩვენი სტადიონის „ბინადართა“ ერთგვარი ინერტულობისა და პასიურობის გამო. მაყურებლებს ნუ დაავიწყდებათ, რომ ფეხბურთელებიც მათსავით ადამიანები არიან, მათაც აქვთ თავიანთი სისუსტეები და ზოგჯერ ცუდი თამაშის გამო უმოწყალოდ არ უნდა ვუკიჟინოთ.

გულშემატკივრები ერთ რამეში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: ერთობ ცნობისმოყვარენი არიან. მათ აინტერესებთ არა მარტო თავიანთი საყვარელი თამაშის ყოველი ეპიზოდი, ნიუანსი, არამედ ეგრეთ წოდებული არასაფეხბურთო ამბებიც, კერძოდ, ფეხბურთელის პირადი ცხოვრება, მისი დამოკიდებულება ხელოვნებასთან, მეცნიერებასთან, ლიტერატურასთან, აინტერესებთ ცალკეულ მოთამაშეთა ურთიერთობა, კონფლიქტები, კოლიზიები... ფეხბურთელებს სიამოვნებთ ასეთი საერთო ყურადღება, მაგრამ ძალზე აღონებთ მითქმა-მოთქმა მათი სახელების გარშემო. ვფიქრობ, ზედმეტია გავიმეორო კონკრეტული ფაქტები. ისინი, სამწუხაროდ, საქვეყნოდაა გახმაურებული.

ვერაფერს მატებენ გულშემატკივართა კეთილ სახელს, აგრეთვე, თავის მომაბეზრებელი სუბიექტები, რომლებიც ნიადაგ სდარაჯობენ დიღმის საწვრთნელ ბაზას, გულს უწყალებენ ფეხბურთელებს უაზრო შეკითხვებით, ითრევენ მათ უსაფუძვლო დისკუსიებში, რომელთა მიზანი ცალკეულ სპორტსმენთა შორის კონფლიქტის გაღვივება უფროა, ვიდრე ჭეშმარიტების დადგენა. სამწუხაროდ, ისინი ზოგჯერ ახერხებენ ფეხბურთელთა ერთ ნაწილზე უარყოფითი გავლენის მოხდენას. საწყალ მწვრთნელს ამის გამო ახალი პრობლემები უჩნდება, თითქოს თავისი გაჭირვება არ ჰყოფნიდეს. ქართული ფეხბურთი იოლად გავა ამ ვაიგულშემატკივრების გარეშეც.

საკვირველია, მაგრამ ისევ და ისევ აჩირებულ გულშემატკივართა წყალობით მე ლაპარაკის მოყვარული და ირონისტი ფეხბურთელის საეჭვო რეპუტაცია შემექმნა. ამ აზრს, იმედი მაქვს, არ იზიარებს ფეხბურთის მოყვარულთა უმრავლესობა. მომაწერდნენ გაუთავებელ კინკლაობას მინდორზე მეტოქე ფეხბურთელებთან, მწვრთნელებთან, მსაჯებთან. შემიძლია „დავამშვიდო“ წრეგადასული ფანტაზიის მქონენი: მე ისევე ვაძლევდი თავს უფლებას მეხუმრა ანდა დაძაბულობა განემუხტა იუმორით, როგორც სხვა ფეხბურთელები — არც მეტი, არც ნაკლები. აი, რა მოხდა ერთ-ერთი პრინციპული თამაშის დროს კიევის „დინამოსთან“. რატომღაც მეტოქეთა გუნდის ერთმა მოთამაშემ „ამომიჩემა“, ბურთის მაგივრად პირდაპირ ფეხებში მირტყამდა. წავიქეცი ერთხელ, მეორედ... ბოლოს მოთმინების ფიალა ამევსო. თანაც, მეტოქე საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი იყო და ტკივილის გრძნობას განცვიფრებაც ერთვოდა: როგორ კადრულობს ასეთ უხეშ თამაშს-მეთქი. მახსოვს, მორიგი სარმის შემდეგ მიწაზე ვაგდივარ. მიახლოვდება მსაჯი, მაგრამ, ჩანს, ჩემი განსაცდელი მაინცდამაინც არ აღელვებს. ვერ მოვითმინე და ვკითხე: ვინ არის ეს ფეხბურთელი, ხუთი ნომერი რომ აწერია მაისურზე-მეთქი? გაოცებისგან სახტად დარჩა; იუმორს ვერ მიმიხვდა, ისე კი ვერ წარმოედგინა, რომელიმე სპორტსმენს იმ სახელგანთქმული ფეხბურთელის გვარი რომ არ სცოდნოდა.

ეტყობა, ამ კითხვამ არანაკლებ გააოცა „დამნაშავე“. იგი მომიახლოვდა და გაკვირვებული სახით შემომხედა. ჰო, შენზე ვლაპარაკობ, ვინა ხარ, შარშან რომელ გუნდში თამაშობდი, რაღაც არ მახსოვხარ-მეთქი, — ვუთხარი მას. გაოცებულმა და ნირწამხდარმა უსიტყვოდ დამტოვა, მერე აღარც გამკარებია. თამაშის შემდეგ ჩემს თანაგუნდელებთან მისულა და უკითხავს: რა დაემართა ბარკაიას, ჩემი გვარი დღემდე არ გაუგიაო?

ეს არ სჯობდა საპასუხო უხეშობას? მერე იგივე ამბავი გაი-გულშემატკივართა წყალობით ათასგვარი ვარიაციებით დამიბრუნდა უკან...

... დეკემბერში ლესელიძე სრულიადაც არ არის ისეთი, როგორიც მხიარულ დამსვენებლებს წარმოუდგენიათ. ეს არის ზამთრის საბრძანებელი, როცა მარადმწვანე მცენარეები წინანდელივით ყელყელაობენ, ოღონდ ზღვას სიღურჯე აღარ ახლავს, მონაცრისფროა. რომანტიკის მოყვარული უჩვეულოდ მიჩუმებულ ზღვის სანაპიროზე ბევრ საგულისხმო რასმე ნახავს. ჯერ ერთი, ზღვა მხოლოდ „მისი“ იქნება, მის სიყვარულში, მის ჰვრეტაში ვერავინ შეეცილება. ეგეც არ იყოს, მზე, დეკემბრის მზე, მაინც ძველებური სიდიადით ეშვება მონაცრისფრო ზღვაში.

თავად პანსიონატ „სპორტის“ ეზო-ყური მოგაგონებთ ნაკრძალს, რომელიც ზამთრის დღეებში ელოდება გაზაფხულს და პირველ დამსვენებლებს. აქ, პანსიონატის ახალ ოთხსართულიან შენობაში, მყუდრო კაბინეტში, ყოველ ცისმარე დილას შემოდის ჭაბუკური აღნაგობის კაცი. ამ კაცთან დაკავშირებულია ქართული ფეხბურთის მნიშვნელოვანი ეპოქა. მან და მისმა თანაგუნდელებმა შეძლეს ის, რაც მათი წინამორბედი თაობების ოცნება იყო, რაზეც მათი შემდგომი თაობებიც ოცნებობენ — იხილეს ქართული ფეხბურთი იმ სიმაღლეზე, რომელსაც იგი სამართლიანად იმსახურებს. იგი, ნაცრისფერ კოსტიუმში გამოწყობილი კაცი, გაზაფხულზე ელოდება არა მარტო დამსვენებლებს, არამედ ქვეყნის საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივებსაც, მათ შორის თბილისის „დინამოს“ — თავის პირველ და უკანასკნელ სიყვარულს. ამ შეხვედრაში უთუოდ არის თავისებური სიმბოლიკა.

ა. გოგელია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლესელიძე — თბილისი.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 9, 10.

## ვუპასუხებთ მკითხველს

### გავაშელსაც — 48

„ლელოში“ ამას წინათ გამოქვეყნებული იყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატების საუკეთესო სნაიპერთა სია (ავტორი ნ. ცერცვაძე), რომლის ბოლო ადგილებზე მყოფ მოთამაშეებს გატანილი აქვთ 48-48 ბურთი.

მაგრამ ამ სიას აკლდა თბილისის დინამოელი გ. გავაშელი, რომელსაც აგრეთვე 48 ბურთი აქვს გატანილი.

ზ. მაჭარაშვილი,
ფ. ხაჩიაშვილი,
ხიდნალის რაიონის სოფ. ქვემო ბოდბის საშუალო სკოლის მოსწავლეები.



ახლახან ჩელიაბინსკში დამთავრდა სსრ კავშირის თასების გათამაშება ფიგურულ ციგურაობაში. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სპორტულ წყვილთა ცეკვამ. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სახეობაში ყველას აჯობეს ლ. პახომოვამ და ა. გორშკოვმა.

• • •

სურათზე: ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი ასპარეზობის დროს.
საკდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მწვრთნელები...



ავტოგრაფები... ა. სააკოვის ფოტოები.

# სპორტული გზის უსახელო დასასრული

— მე ვიცოდი, რა იყო ბედნიერება, რა იყო დიდი სიხარული, ახლა კი მწარე იმედის გაცრუებაც გამოვცადე, — ამბობს ცნობილი მოცურავე, სამი ოლიმპიური ოქროს მედლისა და ხუთი „მოქმედი“ მსოფლიო რეკორდის მფლობელი არდ სხენკი. 29 წლის ჰოლანდიელი სპორტსმენი იძულებულია „ციგურები ლურსმანზე ჩამოკიდოს“. სამწუხაროდ, ყინულის ბილიკებზე მისი გამოსვლები უსახელოდ დამთავრდა.

...საპოროს ოლიმპიადიდან დიდი დრო არ იყო გასული, რომ სხენკი ჰოლანდიის, შვეციისა და ნორვეგიის სხვა მოციგურავეებთან ერთად პროფესიული სპორტის მღვრიე მორევში გადაეშვა. სხენკი იყო ყველაზე ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომლის ელვარებასაც, ახალგამომცხვარი საციგურაო „ცირკის“ მეპატრონეთა აზრით, ყველაზე მეტად უნდა მიეზიდა მაყურებლები. მაგრამ ამერიკელ ბიზნესმენებს იმედი გაუცრუვდათ. დაქირავებულ მოციგურავეთა გამოსვლებს წარმატება არ მოჰყოლია. თავად სპორტსმენებმა დაპირებული ჰონორარი ვერ მიიღეს.

ერთი ცირკი მეორემ შეცვალა. აფიშების მიღმა ჰოლანდიის ბანკები და კომპანიები აფარებენ თავს, მაგრამ მათი კაპიტალი ხარჯებს ვერ ანაზღაურებს. სხენკმა, ისევე როგორც მისმა თანამემამულე კეეს ფერკერკმა, ისევ გამოთქვა მოყვარულთა რიგებში დაბრუნების სურვილი, მაგრამ მოციგურავეთა საერთაშორისო კავშირის დებულებით ეს აკრძალულია.

სხენკმა თავის დამქირავებლებს ულტიმატუმი წარუდგინა: „ან მთლიანად გადამიხადეთ, რასაც დამპირდით, ან...“ და აი, ჰოლანდიის გაზეთ „დე ტელეგრაფში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ სხენკმა მიატოვა სცენა. იგი წავიდა უხმაუროდ, დაფდაფებისა და გვირგვინების გარეშე. დამშვიდობებისას ვერავინ უთხრა გულთბილი სიტყვები, ამხანაგებმა ხელში ვერ აიტაცეს და მრავალი ათასი მაყურებლის ტაშის გრიალში გამოსათხოვარი საპატიო წრე ვერ შემოატარეს, თუმცა სხვა გამოჩენილი მოციგურავეები სწორედ ასე ემშვიდობებიან ხოლმე ყინულის ბილიკებს...

პ. კუკუშკინი.



კაპიტალის სამყაროში



საჯერი

# ფეხბურთელთა აუქციონი

— იყიდება თავდამსხმელი პიტერ ოსგუდი. შეუძლია გოლების გატანა. ფასი — მოთხოვნილების შესაბამისი, — გამოაცხადეს ლონდონის კლუბ „ჩელსის“ მეპატრონეებმა. ოსგუდთან ერთად გასაყიდ ფეხბურთელთა სიაში შეიტანეს ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ ალან ჰადსონის გვარიც. ინგლისში უკვე გამოჩნდნენ ამ ფეხბურთელთა შეძენის მსურველნი, მაგრამ „ჩელსი“ ჯერჯერობით თავს იკავებს; ვინ იცის, იქნებ საზღვარგარეთის კლუბებმა მეტი მოგვცენო.

ოსგუდის მეპატრონეებს განსაკუთრებით მადრიდის კლუბების იმედი აქვთ. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ ოსგუდს დასავლეთგერმანელ გიუნტერ ნეცერთან ერთად მოუხდეს თამაში ესპანეთის „რეალში“. საქმე ისაა, რომ ესპანეთის კლუბების მეპატრონეები ერთმანეთს ხელიდან სტაცებენ „ცოცხალ საქონელს“, ეძებენ ფეხბურთელებს ყველა ქვეყანაში, ყველა კონტინენტზე.

„ვაჭრობა“ გრძელდება. პრესაში გამოჩნდა ბრაზილიის ნაკრების მოთამაშეების — პაულო ცეზარისა და როდრიგეს ნეტოს სახელებიც. ოღონდ ესაა, რომ „საქონლის“ პატრონები და მუშტრები ჯერჯერობით ფასზე ვერ შეთანხმდნენ. სამაგიეროდ, ესპანეთის პირველი ლიგის გუნდმა „სარაგოსამ“ უკვე გამოაცხადა, რომ პარაგვაიში 60 ათას დოლარად იყიდა ცენტრალური თავდამსხმელი ჟიუსტინიანო ენკისო.

ახლახან „ბარსელონამ“ იყიდა ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი. ახლა კრუიფის თანამემამულემ, 22 წლის ნახევარმცველმა იოჰან ნეესკენსმაც გამოაცხადა, მეც მალე დავიწყებ თამაშს ესპანეთის ერთ-ერთ კლუბშიო.

ამ ყიდვა-გაყიდვაში უამრავი ფული ტრიალებს, მაგრამ თავად მოთამაშეებს ბევრი არაფერი რჩებათ. აუქციონის შემოსავალი ძირითადად კლუბების მეპატრონეთა ჯიბეში ჩადის.

ა. გორბუნოვი.




## სტატისტიკა, სტატისტიკა...

● თბილისის „დინამოს“ შარშანდელ ყველა მატჩში მონაწილეობა მიიღო მეკარე დ. გოგიამ. მატჩების რაოდენობით მომდევნო ადგილებზე არიან მ. მაჩაიძე, კ. ახათიანი, ზ. ებრალიძე, რ. ძოძუაშვილი და სხვ.

● თბილისელებს განვლილ ჩემპიონატში თითო მატჩში საშუალოდ გაჰქონდათ 1,4 გოლი, ხოლო საკუთარ კარში ღებულობდნენ 1,1 ბურთს.

● დინამოელთა კარში დაინიშნა 5 პენალტი და ყველა გატანილ იქნა. თბილისელებმა 11-მეტრიანი შეასრულეს სულ ერთხელ — „ფახტაქორთან“. მათ დიდი ანგარიშით მოიგეს 4 მატჩი და ამდენივე წააგეს.

ს. ქარუმიძე.

• • •

● 1973 წლის ჩემპიონატში ყველაზე მეტი სპორტის ოსტატი მინდორზე გამოიყვანა ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ — 17, ხოლო ყველაზე ცოტა — დონეცკის „შახტიორმა“ — სულ 6.

● ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობა ჰყავდა მინსკის „დინამოს“ — საშუალო ასაკი 22,4 წელი, ყველაზე ხნიერი კი დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“ — 25,2.

ვ. პატარიძე,
ტყიბულის რაიონი, სოფ. ახალსოფელი.

## „ლაბდარუგაშის“ ფურცლებზე

ბუდაპეშტის ჟურნალი „ლაბდარუგაში“ აქვეყნებს საინტერესო ცნობებს უნგრეთის ფეხბურთის ისტორიიდან. უნგრეთის ნაკრების № 1 სნაიპერად, მთელი მისი არსებობის მანძილზე, ითვლება ფ. პუშკაში, რომელმაც 83 გოლი გაიტანა. 75 გოლით II ადგილზეა შ. კოჩიში. ახლანდელი მოთამაშეებიდან ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი (34 გოლი) აქვს ბენეს, რომელსაც სნაიპერთა საერთო სიაში მე-7 ადგილი უკავია.

ჟურნალი ათავსებს ერთ საინტერესო სტატისტიკურ ცნობასაც. ერთ მატჩში პირდაპირ ფანტასტიკური შედეგი ჰქონია ოძალდელი ნაკრების ცნობილ თავდამსხმელს შაროშის. უნგრეთ-ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთა მატჩში, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართა და მასპინძლების გამარჯვებით დამთავრდა ანგარიშით 8:3, შაროშმა 7 (!) ბურთი გაიტანა და ისიც თვით პლანიჩკას კარში!

## დიდი ფანატიკოსი

ასე უწოდებენ ავსტრიის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელს ლ. სტასტნის, რომელსაც 63 წელი შეუსრულდა. სტასტნი ფეხბურთის დიდი ფანატიკოსია, მის გარეშე არაფერი სწამს, ათენებს და აღამებს ვენის სტადიონებზე. პრაღის „გოლის“ მოწმობით, მას საკუთარი სახლი არა აქვს და ერთი უბრალო ნომერი უჭირავს ვენის სასტუმრო „ფიურსტენჰოფში“. რადგან ასეთ იაფად ღირებულ ნომერში სასტუმროს მეპატრონე ტელევიზორს არ დგამს, სტასტნის მისთვის აუცილებელი მატჩების ცქერა დეროფანში უხდება, სადაც ფეხბურთის მრავალი გულშემატკივარი იყრის ხოლმე თავს.

სტასტნის ხელმძღვანელობით ავსტრიის ნაკრებს გვარიანი წარმატებები აქვს.

## გურსკის გეგმები

პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა მსოფლიო პირველობისთვის მზადების გეგმა. ნაკრების კანდიდატები ძირითადად თავიანთ საკლუბო გუნდებში მოემზადებიან, გათვალისწინებულია 2 შეკრებაც. 20 თებერვალს ნაკრები კ. გურსკის ხელმძღვანელობით იუგოსლავიაში გაემგზავრება, სადაც დაგეგმილია მატჩები „ცრვენა ზვეზდასთან“, „ჰაიდუკსა“ და „ველეჟთან“, მეორე, საბოლოო შეკრება დაიწყება 26 მაისს.

ნაკრებს გათვალისწინებული აქვს, აგრეთვე, 3 ამხანაგური მატჩი უმაღლეს დონეზე: 27 მარტს ჩეხოსლოვაკიელებთან, 17 აპრილს — ესპანელებთან და 8 მაისს — ბელგიელებთან.

მთავარმა მწვრთნელმა კ. გურსკიმ უკვე გამოაცხადა ნაკრების საორიენტაციო შემადგენლობა 34 ფეხბურთელის შემადგენლობით.

## ათეული და ნაკრები

პოლონურმა გაზეთმა „პშეგლონდ სპორტოვიმ“ გამოაქვეყნა თავისი ტრადიციული გამოკითხვის შედეგები. სპორტულ ჟურნალისტებს უნდა დაესახელებინათ ევროპის უძლიერესი გუნდები და შეედგინათ კონტინენტის ნაკრები.

აი, როგორ გამოიყურება ევროპის პირველი ათეული: 1. იტალია, 2. იუგოსლავია, 3. გფრ, 4. პოლონეთი, 5. ინგლისი, 6. გდრ, 7. ჰოლანდია, 8. ბელგია, 9. შოტლანდია, 10. ბულგარეთი.

ევროპის ნაკრები: ძოფი, ბურგნიჩი (ორივე — იტალია), ბრაიტნერი, ბეკენბაუერი (ორივე — გფრ), ფაკეტი (იტალია), ბრემნერი (შოტლანდია), დეინა (პოლონეთი), რივერა (იტალია), კრუიფი (ჰოლანდია), ლიუბანსკი (პოლონეთი), რივა (იტალია).




## ბლანკენბურგი — ჰოლანდიის ნაკრებში

ვ. ბლანკენბურგი, „აიაქსში“ მოთამაშე დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ევროპაში ერთ-ერთ უძლიერეს „ლიბეროდ“ ითვლება. „აიაქსის“ დაცვა რომ ახლა ესოდენი წარმატებით თამაშობს, ამაში მიმომხილველები ბლანკენბურგის დიდ დამსახურებასაც ხედავენ.

ბლანკენბურგმა, რომელსაც გფრ-თან კარგა ხანია კავშირი აღარა აქვს, სულ ახლახან ოფიციალურად მიიღო ჰოლანდიის მოქალაქეობა, ჩაირიცხა ამ ქვეყნის ნაკრებში და მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება.

## ახალი პრეზიდენტი

უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ა. ტერპიტკო გადადგა. მის ნაცვლად ფედერაციას სათავეში ჩაუდგა 52 წლის სპორტული ჟურნალისტი ი. კუტაში.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი. ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52. მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.